№ 264. 29 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866—1883 29 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 264.

# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ჟ უ რ ნ ა ლ ი

„ქართული ბიბლიოთეკა"

(წელიწადი მეორე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ-თვე-და-თვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თფილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სახლში.

თფილისში: ბ. ზაქარია ჭიჭინაძესთან, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

გორში:—ეკ. ფურცელაძისას.

ბათუმში:—იულია დავითის ასული ჩხეიძისას.

ფოთში:—ნატ. მაჭაროვისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Кутаисъ, въ редакцію журнала «ГРУЗИНСКАЯ БИБЛІОТЕКА».

ხვედრი ფული ხელის-მომწერთა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი—გამომცემელი კგ. ლორთქიფანიძისა.

(10—1)

თავადი ნიკოლოზ შარმაზანის-ძე აბხაზი, ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა და თავადი ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 28 ამ დეკემბრისას გარდაიცვალა პირველისა მეუღლე და მეორეთა და კნეინა ნინო გრიგოლის ასული აბხაზისა და სთხოვენ დაესწრნენ ანდერძის აგებაზე, რომელიც მოხდება 29 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თავად ილია გრიგოლის-ძის ჭავჭავაძის სადგურში. განსვენებულის საფლავზე გასვენება იქნება 30 დეკემბერს, დილის 10 საათზე. (1—1)

თავადები ქაიხოსრო და კონსტანტინე მალაქიას-ძენი გურიელები, აცნობებენ რა გარდაცვალებას თავიანთ მამიდისას ღენერალ ლეიტენანტის თავადი ნესტორ წერეთლის მეუღლისას კნეინა ეფლაგია ქაიხოსროს ასულის გურიელის ქალისას, რომელიც ეწვია მას 20 ამა დეკემბრისას, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავებს და ნაცნობებს ინებონ მობრძანება დაბა საჩხერეს 30 დეკემბერს პარასკევს [illegible] დილის 9 საათზე გასასვენებლად გარდაცვალებულისა ჯრუჭის მონასტერში. (1—1)

## რა უფრო მოუხდება ხალხს, არყის დიდი თუ წვრილი ქარხნები?

თბილისი, 29 დეკემბერს.

უკანასკნელ დროს მმართებლობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია არყის გამოხდის საქმეს, აქციზს და სასმელებით ვაჭრობას, რადგანაც ყოველსავე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობისა და წარმატებისათვის. ამიტომაც მმართებლობამ მოიწვია საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, წვრილ-წვრილად, ოჯახობით არყის გამოხდის საქმის განსახილველად და გამოსაკვლევად. ჰგავს, რომ, თუ ხელმეორედ საჭიროდ სცნეს საქმის განხილვა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს წვრილ-წვრილად, ოჯახობით არყის გამოხდას, მმართებლობას შეუგნია ეხლანდელი აქციზის სისტემის უვარგისობა და წვრილ-წვრილი, ოჯახობითი არყის ქარხნების გავრცელებისა და წარმატების საჭიროება.

1861 წლამდე, ესე იგი, იმ დრომდე, ვიდრე აქციზის სისტემას შემოიღებდენ, რუსეთში გავრცელებულნი იყვნენ წვრილ-წვრილი ოჯახობითი ქარხნები არყისა; ამიტომაც არაყიც იაფი იყო, და ხალხსაც არ ადგა ის შევიწროება, რომელსაც იგი შეესწრო აქციზის შემოღების შემდეგ. აქციზის სისტემის შემოღებამ სულ ერთიანად მოსპო წვრილ-წვრილი ქარხნები არაყისა და გაავრცელა დიდ-დიდი ვაჭრული ქარხნები. ამ რიგად წვრილ-წვრილად გამოხდა არყისა მოსპობილ იქმნა, და ხალხს წაერთვა დიდ-მნიშვნელობიანი და შემოსავლიანი წარმოება. შემდეგ ამისა არაყიც გაძვირდა და ეს გარემოება ერთობ ცუდად დაეტყო ხალხის ცხოვრებას, რადგანაც იგი მოკლებულ შეიქმნა აუცილებლად საჭირო სასმელსა: ხალხისათვის არაყი ერთობ გაძვირდა, და ყოველ მხრივ გავრცელდა ესრედ წოდებული «კაბაკები», რომლებშიაც წარმოებს სასმელებით ვაჭრობა. აქციზის მომატების შემდეგ არყის წარმოება შემცირდა; ამას მოჰყვა ხაზინის შემოსავლის შემცირებაც. ყოველივე ამის გამო ცხადია, რომ ახალმა სისტემამ, 1861 წელს შემოღებულმა, ვერ დაიცვა ხალხის ინტერესები და თავის დანიშნულებასაც ვერ მიაღწია. ერთი სიტყვით, ახალი სისტემის შემოღებამ, აქციზის მომატებამ, წვრილ-წვრილი ქარხნების შევიწროებამ და დიდ დიდი ვაჭრული ქარხნების გავრცელებამ ვერ მიანიჭა ხალხს და მმართებლობას ისა, რასაც მოელოდენ.

უკანასკნელი ოცი წლის გამოცდილებამ უჩვენა მმართებლობას, რომ არყის წვრილ-წვრილი ქარხნების გავრცელება და აქციზის შემცირება აუცილებლად საჭიროა არყის წარმოების გასავრცელებლად და საკუთარი შემოსავლის მომატებისათვის. ეს სასარგებლოა როგორც მმართებლობისათვის, ისე თვით ხალხისათვის. წვრილი წარმოებისათვის ხელის-მოკიდება ადვილია ხალხის უმრავლესობისათვის, რადგანაც ბევრს ფულს და ძალას არ მოითხოვს; მაშასადამე, რაც უფრო გავრცელებული ა წვრილი წარმოება, მით უფრო ფართო

«დროების» ფელეტონი, 29 დეკემბ.

## ქართული ახალი ლიტერატურის თაობაზედ.

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი*)

ჩვენს საუკუნეში გაითარდა ახალი ქართული ლიტერატურა ისე, რომ ამ გაითარებაზედ არა ჰქონია გავლენა არც დასავლეთის ევროპის გონების მოძრაობას, არც ფილოსოფიურ სისტემებს, არც რომელიმე სკოლის მიმართულებას. ეს ლიტერატურა თუმცა ხელშეუხებელი და თითქმის ველურია, მაგრამ იგია ნაზი და საამო, თვალის წამხალისებელი და გულის-მიმტაცი, როგორც ხელუხლებელი ყვავილი, აღმოცენებული საქართველოს უხვს ნიადაგზე. პირველს გაცნობაზედ ეს ლიტერატურა მეტის-მეტად გეუცხოვებათ, რადგან თვალ წინ თქვენთვის უცნობს სურათსა და ცხოვრებას გადაგიშლით, მაგრამ მალე მიგიყოლიებთ თავის ადამიანურის თვისებით და ეს ცხოვრება, ახლო გასინჯვის შემდეგ, თითქმის შურს აღძრავს ევროპიელის გულში, რადგან მასში გამოსახული ნორჩი ძალი და ღონე და ბუნებასთან დაახლოვება ჩვენს წინაპართა ხდომიათ მხოლოდ წილად.

ჩვენ, რასაკვირველია, ის არა გვსურს, რომ ჩვენი ცხოვრება ისე მკაცრად მოეწყოს, როგორც ქართულს ლიტერატურაშია გამოხატული, მაგრამ გვინდა კი, რომ ამ უმაღლესს ცივილიზაციასთან ერთად... იმისთანა სულის მდგომარეობა. რაკი საქართველომ განაახლა... მოჰყვა იგი ლექსთა თხზვას და სიმღერას იმ გვარადვე, როგორც ლექსებსა სთხზავდა და მღეროდა თამარ მეფისა და რუსთაველის ბრწყინვალე დროს. იმისმა პოეტებმა მიიტანეს სამშობლოში ევროპის მიდამოზედ შეკრეფილი ყვავილები, მაგრამ თან კათედრის მტვერი არ მიუყოლებიათ; არ მიუყოლებიათ-რა იმისთანა, რაც კი თავისუფალსა და ბუნებრივს, ძლიერს გრძნობას შეჯაჭვავდა. თითქმის ყველა ეს პოეტები წარმატებას ურჩევენ თავის ხალხს, მაგრამ გაუფთხილებლად არ ეხებიან მისს რწმუნებასა და აზრსა, წინაპართაგან გარდაცემულს სარწმუნოებას და ისტორიულს თქმულებას. ჯერ საქართველოსთვის არ დამდგარა დრო ფილოსოფიურისა და სოციალურის საგნების განხილვისა და დამყარებისათვის. ამიტომ საქართველოს პოეტები უფრო დამღერენ სიყვარულს, გაზაფხულს, მხიარულებას და ჰაფიზსავით დანატრიან უდარდელს ცხოვრებას; მათი ლექსების კილო იცვლება და დიდებული სახე ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა თავიანთ მშვენიერს სამშობლოს შეჰხარიან. ახლად მიცვალებულის გრიგოლ ორბელიანის ლექსები ჰგვანან კავკასიის კლდეებიდგან გამონაცემ ხმასა. ყოველს სტრიქონში ეტყობა აღტაცება, ნეტარება და განცვიფრება; იგი ჰხატავს ამ ქვეყნის დიდებულს წარსულს და მის შეუდარებელს ბუნებრივს მშვენიერებას ისე, როგორც შეუძლიან დახატვა აღტაცებულს და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულს ადამიანს. პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ ესეთის უხვის კალმით არავის დაუხატავს კავკასიის მთების მშვენიერი სანახაობა.

თუმცა ასეთის-აღტაცებით არ არიან დაწერილნი, მაგრამ უმეტესი ადამიანური გრძნობა, უმეტესი ცხოვრების მიმდევარობა ეტყობათ ა. წერეთლის ლექსებს, რომელიც თავის თანამედროვეთა ნაკლულევანებას თითქო ხუმრობის კილოთი უწყალოდ ამხელს. მაგრამ ესეც კი არ ებრძვის თავის მემამულეთა აზრის მიმართულებას, თუმცა საგნად თავის პოეზიისა თავის სამშობლოს წარმატება გაუხდია. იქნება ამ სიფთხილის მიზეზი სამშობლოს სიყვარული იყოს, მაგრამ ამ გვარი სიყვარული არ იქნება ჯეროვნად გაგებული და ახალის

*) ეს წერილი დაბეჭდილია ერთს ნემეცურს ჟურნალში (Magazin für die literatur des zn und auslandes № 51, 18 გვ.) და ეკუთვნის არტურ ლეისტს რომელმაც თავისით შეისწავლა ჩვენი ენა და გულმოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს ქართულს ლიტერატურას.

გზას ადგას იგი, მით უფრო მატულობს ნაწარმოების რაოდენობა. გარდა ამისა, წვრილი წარმოების გავრცელებისათანავე ხალხში ვრცელდებიან სასარგებლო სამეურნო ცნობანი და ხალხის გამოცდილება და ცოდნაც მატულობს.

გარდა ყოველივე ამისა, არყის წვრილ-წვრილ ქარხნების გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის მუშაობისა, საქონლის გაშენებისა და ყველა იმ წარმოებისათვის, რომელიც როგორმე დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. ყოველივე ის ნივთიერება, რაიცა რჩება არყის გამოხდის შემდეგ ქარხნებში, ფრიად მარგებელია საქონლისათვის და მიწის განოყიერებისათვის; მაშასადამე, რაც უფრო და უფრო გავრცელებულია არყის წვრილი წარმოება, მით უფრო სასარგებლოა იგი საზოგადოდ მეურნეობისათვის.

ზემოდ ნათქვამიდგან ცხადია, რომ არყის წვრილი წარმოების გავრცელება ხალხში ფრიად სასურველია ყველასთვის, ვინც ხალხის კეთილდღეობის წარმატების მსურველია. შეიძლება, ზოგიერთებმა იფიქრონ, რომ წვრილს წარმოებას არყისას მოჰყვება არყის სიიაფე, და ამიტომაც ხალხში ლოთობა გავრცელდებაო. ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა. არყის გაიაფება გაავრცელებს ხალხში მხოლოდ მუდმივს, მაგრამ ზომიერს ხმარებას არყისას; არაყი კი, მეტადრე რუსეთში, შეადგენს აუცილებლად საჭირო სასმელს მუშა-ხალხისათვის. ზომიერი ხმარება არყისა სასარგებლოც არის ხალხის ჯანმრთელობისათვის; გარდა ამისა, როგორც ზემოთა ვსთქვით, არყის წვრილი წარმოება განაძლიერებს ხალხის კეთილდღეობას, და ამის გამო სიმთვრალეც შემცირდება, რადგანაც, როგორც ცნობილია, სიმთვრალე არის შედეგი მეტის-მეტი სიღარიბისა და გაჭირვებისა. როცა რუსეთში აღძრული იყო საგანი შესახებ ლოთობის მოსპობისა, მაშინ ზოგიერთა ხალხის მცოდნე პირებმა სტატისტიკურად დაამტკიცეს, რომ ლოთობა იქ უფრო გავრცელებულია, სადაც მომეტებული სიღარიბე სუფევს და არის ნამდვილი და კანონიერი შედეგი სიღარიბისა: იმავე პირთა გამოკვლევიდგან ცხადია, რომ ზოგიერთა სოფლებში იმ დრომდის, სანამ სოფლელებს სიღარიბე არ შესჩვეოდათ, ლოთობა არც კი ყოფილი გავრცელებული; მაგრამ თანამედროვე ეკონომიური პირობების წყალობით გაღარიბებას ლოთობაც თან მოჰყვა. მაშასადამე, შიში შესახებ ლოთობის გავრცელებისა სულ ტყუილია და ამ მხრით საშიშარი არა არის-რა.

რაც შეეხება იმას—შემცირდება თუ არა ხაზინის შემოსავალი არყის წვრილი წარმოების გავრცელებისაგამო, უნდა ვთქვათ, რომ არც ეს არის საშიში. ხაზინის შემოსავალი უსათუოდ იმატებს წარმოების გავრცელებისაგამო. გარდა ამისა ხაზინას ყოველთვის მომეტებულს შემოსავალს მისცემს არყის ზომიერი ხმარება, ვიდრე ხალხის გამუდმებული ლოთობა. ზოგიერთა უცხო ქვეყნების მაგალითიც გვიმტკიცებს, რომ ხაზინის შემოსავალი სასმელების ხმარებიდგან მით უფრო ძლიერდებოდა, რაოდენიც უფრო გავრცელებული იყო სასმელების ზომიერი ხმარება.

ყოველივე ზემოდ ნათქვამიდგან ცხადია, რომ არყის წვრილი წარმოების გავრცელება, წვრილ-წვრილი ქარხნების გამრავლება, ბაჟის შემცირება,—ყოველივე ეს რომელი მხრითაც აიღონ, სასარგებლო იქნება ხალხისა და მმართებლობისათვის. მმართებლობაც კარგს სამსახურს გაუწევს ქვეყანას, თუ ეს საგანი ჯეროვანად შეიმუშავა და ეკონომიურის მეცნიერების მოთხოვნილებათა-და-გვარად დააგვირგვინა საქმე.

---

### შინაური ქრონიკა

«Новое Время» სწერს: «ამ უკანასკნელ ომის დროს მაჰმადიანთ გადასახლების გამო, კავკასიაში მალიან დაეცა ხელოვნური რწყვა მამულების, რომელიც ისე განვითარებული ყოფილა და არის აღმოსავლეთის მკვიდრთა მცხოვრებთა შორის. ეს გარემოება, რომელსაც მოჰყვა მიწისა და მამულების გაღარიბება, შეინიშნება მომატებულ ნაწილად დაღესტანში და აღმოსავლეთის კავკასიის ზომიერ ადგილებში ესლა, როგორც შევიტყეთ, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ, მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება ამ გარემოებას, და ამისათვის შეუდგა საქმეს, რომ სამი ახალი თანამდებობა დააწესოს ინჟინერ-გიდრავლიკებისა, რომელთაც კანონდებულება იქნება ყურადღება იქონიონ მამულების რწყვაზე.

ამას წინედ რუსულმა გაზეთებმა შეგვატყობინეს ჩვენს მკითხველებს, რომ 28 წარსულ ნოემბრისათვის დანიშნული იყო ყრილობა აქეთა კავკასიის რკინის გზის აქციონერებისა. სხვათა შორის, უნდა მოელაპარაკნათ ამ გზის მსახურთა რიცხვის მომატებაზედ, საქმის გასაადვილებლად. ყრილობა არ შესდგა. მაგრამ ჩვენმა რკინის გზის გამგეობამ არავის არ მოუცადა და, თავისის საკუთარის მოსაზრებით, გადასწყვიტა—არა მომატება, არამედ შემოკლება მსახურთა რიცხვისა. მერე, ეს შემოკლება იქითკენ კი არ არის მიმართული, სადაც უფრო საფიქრობელია, მაგ., მრავალი ბობოლა მსახურებისაკენ, ურომლოდაც გზა ბევრს არას იზარალებდა,—არამედ იქითკენ, სადაც, რკინის გზის გამგეობის მეტი, ძნელად თუ მოიფიქრებდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ჩვენ ვამბობთ იმ განკარგულებაზედ, რომელიც უნდა აღსრულებაში მოვიდეს პირველ იანვრის მომავალი წლიდან და რომელიცა მდგომარეობს მაში, რომ ჩვენის გზის სივრცეზედ უნდა დაითხოვონ ოც-და-ოთხი «დაროჟნი მასტერი», რადგან «საჭიროდ და სასარგებლოდ» უცვნია გამგეობას მოხსენებული ადგილების გაუქმება. მართალია, კარგა მკონომიას დაიჭერენ ესეთი განკარგულებით, მაგრამ თითონ გზის მდგომარეობას ისე ავნებს და იმოტელა ზარალს მისცემს, როგორც აქციონერებს, ისე (და უფრო) პუბლიკასაც, რომ არ შეგვიძლიან არ გამოვაცხადოთ მთელი ჩვენი განცვიფრება ასეთი უთავბოლო განკარგულებისაგამო.

ცნობილია, რომ რაც უფრო იაფდება ფოსტის მარკები ან დეპეშის გასაგზავნი ფასი მცირდება, იმდენი მეტი შემოსავალი აქვს სახელმწიფოს ამ საგნებიდამ. მაგ. უკანასკნელი წლის ფოსტის შემოსავალმა, აგრეთვე როგორც ტელეგრაფისამ თითო მილიონ მანათამდე იმატა. ეხლა შინაურ საქმეთა სამინისტრო ჰფიქრობს კიდევ უფრო შეამციროს მარკების ფასი და 6 კაპეიკად გახადოს; შტემპელიან კონვერტებისა კი—$6^{1}/_{2}$ კაპეიკად.

თბილისის კომერციულ ბანკს მირითადი თანხა აქამდის მხოლოდ ნახევარ მილიონი ჰქონდა. ამას წინად ამ ბანკმა გამოითხოვა ნება კიდევ ნახევარ-მილიონი აქციების გამოცემისა და მიიღო კიდეც. როგორც «კავკაზი» გვაცნობებს, 20 დეკემბრამდე ეს აქციები სულ დაიყიდა და მყიდველები თითონ ძველის აქციების მქონენი იყვნენ. ეხლა ამ აქციონერულს ბანკს ერთი მილიონი მირითადი თანხა აქვს და 123,000 მანათი სათადარიგო თანხა.

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებისათვის მიუციათ ნება სესხის გაცემისა პრიკაზის ბილეთებზედ.

---

ცხოვრების შესაფერი. ეს კარგად გაიგო თ. ილია ჭავჭავაძემ, როდესაც ამ ოცის წლის წინად მიჰყო ხელი თავის პირველ მოთხრობებს. მისი მოთხრობები ჰგავდენ კაცობრიულ გრძნობის ფსალმუნებს და მის მემამულეთა ჩუმს პატრიარქალურ ცხოვრებას ქარიშხალსავით მოედვნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე II განიზრახა გლეხების განთავისუფლება ბატონ-ყმობის უღლისაგან. მაშინ ჭავჭავაძემ აღტაცებით წარმოსთქვა: «გლეხი უნდა თავისუფალი იყოს, ისიც ჩვენსავით კაციაო». ფეოდალ მებატონეებს არაფრად იამათ ეს სიტყვები, მაგრამ ჭავჭავაძემ უფრო თანდათან აღამაღლა თავისი ხმა და ორს მშვენიერს მოთხრობაში: «კაცია ადამიანში» და «გლახის ნაამბობში» გამოჰხატა ბატონ-ყმობა, ბატონების სიმკაცრე და ყმების სილატაკე.

შორს წამიყვანს, რომ აქ ყველა ის სურათები მოვიყვანო, რომელნიც ჭავჭავაძეს ხელოვნურათა აქვს დახატულნი; აქ მხოლოდ გავაცნობ მკითხველებს მის გმირებს*).

ორის დასახელებულს მოთხრობაში მწერალს შეჰყავს მკითხველი იმისთანა ფეოდალურის მზგავსს ცხოვრებაში, რომელიც საქართველოში ამ ოცდა-ხუთის წლის წინად არსებობდა. თუმცა დასავლეთის უმაღლესი ცივილიზაცია ამ მხარეს თითქმის არ შეჰხებია, მაგრამ ხალხს არ აკლია არც გრძნობა, არც მოაზრება, არც თავის თავის ყადრი, თავის ღირსების ცნობიერება.

მშვენიერად არის დახატული რაინდის მზგავსი მებატონე, რომელსაც თავის სწორთან დამოკიდებულებაში ყოველთვის თვალწინ პატიოსნება უდგას; არის მამაცი, გამბედავი, ზდილობიანი, სტუმრის მოყვარე და საამოდ დროს გამტარებელი. ამ თვისებას ვალათა სდებს მას მისი გრძნობა, წოდება და მოვალეობა საზოგადოების წინაშე. მაგრამ ეს პატიოსნებით სავსე პირი უკაცური რამ არის თავის ყმასთან; ყმის წინაშე იგი არაფრის მოვალე არ არის, თითქმის ადამიანური გრძნობაც კი მეტ ტვირთად მიაჩნია. ყმა მისი მონაა და არავითარი უფლება არა აქვს მისი რაინდული გრძნობანი თავისთვის გამოიხმოს. მებატონე სხვაა და ყმა სხვა. ყმა თითქო განგებისაგან იმიტომ არის დანიშნული, რომ თვისი უფლის ქეიფზედ იაროს და იმოქმედოს. მთელი სიცოცხლე ხმა-ამოუღებლივ ჰზიდავს იგი ამ ტვირთსა და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მჩაგვრელი გააწვდენს ხელს იმისკენ, რაც უძვირფასესია ყმისთვის ქვეყნიერებაზედ,—მხოლოდ მაშინ ესპობა მოთმინება და იწყობს ეჭვიანობას, მართლა მარტო ეს მცირე დანიშნულება აქვს, თუ არა.

მეორე მებატონე არა ჰგავს რაინდს; იგია სასტიკი, როგორც მთის ჩერქეზი და გარყვნილი; მხოლოდ გარყვნილობაზედ უჭირავს თვალი და ეს თვისება დესპოტად გარდაქმნის მას. როგორც ყოველგან ამ გვარ პირთა ცხოვრებაში სიკვდილ-სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია, ისე ეს მებატონე ჰხდება მსხვერპლი თავის უკაცურობისა და წინათაც რომ ევრძნო თავისი ბოლო, მაინც ადამიანობა არ დაეტყობოდა. იმისი ყმა გაქრო თავის მამის ჯავრსა ჰყრილობს მასზედ და გარბის მთებში, სადაც იწყებს ყაჩაღობას. გულში ჯოჯოხეთის ცეცხლით ჰხდება იგი ავაზაკი და კაცისმკვლელი, რომ კაცობრიობას თავისი უბედური სვე აზღვევინოს.

ყაჩაღი კაკო, რომელიც მას თავის ამხანაგად მიიღებს, ასე უხატავს თავის ხელობას:

«უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
«მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
«ყურდღელსავითა ფხიზელი ძილი
«და იარაღი ღღე-და-ღამ ხელში,—
«მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
«ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი,

---

*) პატივცემულ ავტორს, როგორც მკითხველი თითონაც შენიშნავს, ერთის მოთხრობის გმირები მეორისათვის მიუწერია, ასე რომ განთქმული ლუარსაბ თათქარიძე არსადა სჩანს, თუმცა «კაცია ადამიანის» გმირზედ ლაპარაკს კი ჰპირდებოდა. ამ გვარი შეცდომები ზემოთაც იყო, მაგრამ ეს აუცილებელია იმისთანა პირისათვის, რომელსაც მხოლოდ თავის მეცადინეობითა და შრომით შეუსწავლია ისეთი ძნელი ენა, როგორიც ჩვენია და ჩვენი ლიტერატურა. რედ.

ჩვენის გაზეთის № 224-ში დაბეჭდილი იყო სურამიდან სამდურავი იქაურს სომხის მღვდელზედ. სურამის მომღვარს მ. ტერ-ოსეფ არუწოვს თავის თავის გასამართლებლად დაუწერია პასუხი გაზეთ «მშაკში» და სთხოვს იმ ცნობის შემატყობინებელს დამამტკიცებელ საბუთებს თავის მოქმედებისას.

ავტორმა იმ ცნობისამ გამოგვიგზავნა ქვემოხსენებული წერილი, რომელსაც შემოკლებითა ვბეჭდავთ:

«თქვენა ბძანებთ, «მომღვარო», რომ 27 წელიწადია თქვენს მრევლს განაგებთ და ვითომც თუ პირველად გესმოდეთ თქვენზედ საჩივარი. მაშ მოისმინეთ: სურამელმა სომხობამ რომ ვექილად ამოირჩიეს როსტომ ფასუევი, სტეფანე სარახათუნოვი, სოლომონ აკოფოვი და სხვები, ნუთუ იმისთვის არა, რომ თქვენი უსამართლო საქციელი გამოეცხადებინათ ეპარქიის უფროსისათვის? მთელმა საზოგადოებამ რომ ხელი მოუწერა და თქვენმა მეგობარმა სურამის მამასახლისმა იაკოფ აკოფოვმა არ დაუმოწმა ის ქაღალდი, ესეც იქნება თქვენი მრევლისათვის გულმტკივნეულობის შედეგი იყოს? მაშ თუ არ გიჩივლეს, ტერ-სტეფან ტერსტეფანოვი რად მოვიდა სურამშია, რად შეჰკრიბა ხალხი სალამოს ლოცვაზედ და რად უქადაგა მიუტევეთ, თუ რამე ნაწყენობა მოგვგონდებოდეთო?

«თქვენა ბძანებთ, ტყუილი მოუგონიათ, ვითომც მე 200-300 მანეთზე ნაკლებ ჯვარ-საწერს არა ვჯერდებოდე იმ პირთა, ვისთანაც მე ჯიბრი მაქვსო. ნუთუ ჩემი მტრები თანახმა გახდებოდენ ამისთანა ჩემის მოთხოვნილებისათვის და არ გამართავდენ ჩემზედ საჩივარსაო?

«მე ძალიან მაკვირვებს, «მომღვარო», თქვენი ამ გვარი პასუხი. ნუთუ აგრე გულმავიწყიცა ყოფილხართ? თქვენ არა ბძანდებოდით, რომ ნიკა ლოტუევსა და იაგორ უუზანოვს ერთს 200 და მეორეს 300 მანეთი ჯვარ-საწერი გამოართვით და გამოუცხადეთ, რომ ახლო ნათესაობა გაქვთ და ეს ფულები ეჩმიაძინში უნდა გავგზავნოთ; ვიდრემდის იქიდამ ნებას არ მომივა ჯვარის-წერა არ მოხერხდებაო? იქნება ამ საეჩმიაძინო ფულებს გზა არიათ? შარშან რაღა იყო, რომ ღვთისწყალობ აკოფოვს დეკემბრის თვეში 150 მანეთი გამოართვით ჯვარ-საწერი, რადგან შარი უგრიავეთ ნათესაობა გაქვთო და არაფერი კი იყო? ამასაც არ დასჯერდი და ქალის მამას ცალკე 50 მანეთი კიდევ გამოართვით. ვინ იცის კიდევ რამდენს ამისთანა მაგალითებს დავასახელებდი, რომ დრო და ადაგი ნებას მომცემდეს».

### სამწიგნობრო შენიშვნა.

საკვირველია ჩვენი ბოლონდელი მწიგნობრობის ბედი. საჩინო, ნიჭიერ მწერლებით ისედაც ღარიბნი ვართ, ისედაც მოკლებულნი ვართ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო მათ შესაფერ ზედ-მოქმედებას ხალხზე—და ამას ზედ-ერთვის, ხელს უწყობს ერთი იმისთანა გარემოება, რომელიც თავიდამ ადვილად ასაშორებელი უნდა იყოს. მაგრამ დახე ჩვენს ხელ-მოკლეობას—ესეც ვერ მოგვიხერხებია! ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი ბოლონდელი მწერლების და პოეტების ნაწერებიც კი არა გვაქვს სრულად შეკრებილნი და გამოცემულნი. რაც ამ პოეტებს და მწერლებს უწერიათ, გაბნეულია ან კერძო პირების ხელში ხელთ-ნაწერებად, ან და სხვა-და-სხვა ჟურნალების ნომრებში, რომელნიც დღეს ძნელად საშოვნელი გამხდარან...

თუ ჩვენი თანამედროვე მწერლების ნაწარმოებნი არ არიან შეკრებილნი და გამოცემულნი, იმით მაინც ვნუგეშობთ, რომ დღეს-ხვალ თვითონვე ინებებენ თავიანთის ნალვაწების შეგროვებას საშვილის-შვილო საგანზედ გადასაცემად, მაგრამ მიცვალებულთა, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის და სხ. ნაწერების ბედი კი ძლიერ გვაშინებს. თანამედროვე მწერლებს თავიანთ საწერების შავები ექნებათ, ან და ის ნომრები პერიოდულ გამოცემათა, რომლებშიაც მათი ნაწარმოებნი დაბეჭდილან, შენახული თუ არა აქვთ, ემახსოვრებათ მაინც და მათის ხელმძღვანელობით გამომცემლობის ვინმე მოყვარული არ დაუკარგავს მათ ხალხსა. მიცვალებულთა ხელთ ნაწერები კი ამ გვარმა გამომცემელმა მწყვდიადში ხელის ცეცებით უნდა ეძიოს და რასაც და რამდენსაც იპოვნის, იმითი დაკმაყოფილდეს...

ამ რიგად შეკრებილი და გამოცემული ნაწერები რომელიმე მწერლის, გინდ პოეტისა, საზოგადოებას ჰგონია ავტორის ნაწერების სრული კრება. გარდა იმისა, რომ ამ ნაირნი გამოცემანი არ არიან სრულნი, ხშირად ჰხდება, რომ მათში სხვა ავტორების ნაწერებსაც ამლევენ ადგილს გულ-უხვნი და სტუმართ მოყვარე გამომცემელნი, როგორც, მაგალითად, ა. ჭავჭავაძის ლექსთა კრებაში დაბეჭდილია დ. ჩოლოყაშვილის ლექსი.

«საყვარელო, ძალსა შენსა ვინ არს რომე
არ ჰმონებდეს?» და სხ.

სრულ გამოცემად გვეგონა დღემდის ლექსნი ნ. ბარათაშვილისა (ორჯერ გამოცემული თბილისს ამხანაგობისა და გრ. ჩარკვიანისაგან), ამ მწუხარებისა და თავ-განწირული სასო-წარკვეთილობის მგოსნისა ქართულს მწიგნობრობაში, მაგრამ ბ. ი. მეუნარგიასაგან მოპოვებულმა და წლევანდელი «ივერიის» ერთ-ერთს ნომერში დაბეჭდილმა ლექსებმა ამ დაუვიწყარის პოეტისამ დაგვარწმუნა, რომ შემცდარი ვყოფილვართ. ამ დღეებში «ცისკრის» ერთ-ერთს ნომერში, (თებერვალის წიგნი 1858 წ.) ლექსთა-განყოფილებაში წავაწყდი ერთს ლექსს (ლაშქრობა ქართველთ კავკასზე) «ბედი ქართლის» ავტორისას. ვინ იცის, რამდენი ამისთანა და ამაზე უკეთესი ნაწარმოები დარჩა უდროვოდ მიცვალებულს ნიჭს ნ. ბარათაშვილისას, და როგორ უწყალოდ ჰხრავს მათ თაგვთა რაზმი პოეტის ვერ დამფასებელთა გვარ-მო-პირთა სკივრებში... მართლაც, შეუძლებელი და ძნელად წარმოსადგენია, რომ იმისთანა ნიჭიერს, ზესთა შთაგონებულს კალამს, როგორიც იყო კალამი ნიკოლოოზისა, რასაც დღეს ვხედავთ, მეტი არაფერი დაეწეროს, თუ გინდ იმ ცოტა ხნის განმავალობაშიაც, რაც მას დასცალდა სამწერლოდ. სხვა არა იყოს რ, «კრებულის» ერთ-ერთს ნომერში მაინც წავიკითხავს მისი დაბეჭდილი ბარათი, რომელშიაც ბარათაშვილი სწერდა ერთს თავის მეგობარს—«მე ეთარგმნი ამა-და-ამ («კრებულში» მოხსენებულია თხზულების სახელი, მაგრამ არ მახსოვს, რომანსაო»... სად არის ეს ნათარგმნი მაინც?

ზ.

ქუთაისი, 16 დეკემბერს.
1883 წ.

## რუსეთი

—ტელეგრაფმა უკვე გვაცნობა, რომ ქ. ირკუტსკში ერთმა პოლიტიკურმა დამნაშავემ საქმით შეურაცყოფა მიაყენა აღმოსავლეთი ციმბირის გუბერნატორს, გენერალს ანუჩინს იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი საპყრობილეს ათვალიერებდა. ეხლა რუსული გაზეთები გვატყობინებენ ზოგიერთა ცნობებს შესახებ ამ საქმისა და თვითი დამნაშავისა; დამნაშავე ყოფილა ადგილობრივი მცხოვრები, გვარად ნეუსტროევი, ხალხოსნობით იაკუტი. უნივერსიტეტში კურსის შესრულების შემდეგ ნეუსტროევი დანიშნულიყო ორის წლის წინედ მასწავლებლად ირკუტსკის საქალო გიმნაზიაში. თავისი მოღვაწეობის დაწყებისათანავე ნეუსტროევმა ხელი მიჰყო მოწაფეების განვითარებას; გაკვეთილების დროს ესაუბრებოდა მოწაფეებს ისეთს რამეებზე, რასაც არა-

---

«მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
«სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!»

ჭავჭავაძის გმირებს არა აქვთ-რა საერთო ჩვენს საზოგადოებასთან და როგორც გარეგანის მხრივ აზით განსხვავებული პატრიარქალური ბეჭედი, ისე გულითაც სხვანი არიან. ჩინებული, კეთილ-შობილი ქმნილებაა თბილისელი მღვდელი «გლახის ნაამბობში». ამ მღვდელს მოყვასის სიყვარული თავის ცხოვრების უმთავრეს საგნად გაუხდია და ეზიზღება როდესაც სხვის გულისათვის თავის გაწირვას უშლიან. ამ კეთილ-შობილის კაცის თვალში თანასწორობა ხალხისა ადვილად მისაღწევია და ამ ამ თანასწორობისათვის მუდამ ჟამს ოცნებობს და მოქმედობს. როგორც იგი თანასწორობის დამყარებას ჰფიქრობს, ამისთანა თანასწორობაზედ ზრუნვა მხოლოდ ჩვენს შორეულს წინაპრებს შეეძლოთ, რადგან იმის ბრძნულის სიმშვიდით წარმოთქმულ სიტყვებში გამოსჭვირს საუკეთესო და უწმინდესი ადამიანური გრძნობა.

ჭავჭავაძის ყოველ თხზულებაში სჩანს ბუნებრივი ძალა, ძლიერი, მღელვარე სიცოცხლე. პოეტი გრძნობს, რომ მზე განათლებისა ამ ცხოვრებასაც მოჰფენს თავის სხივებსა და წარმატების სურვილი იქნება ამის თხზულებებში უფრო შესამჩნევი იყოს, ვიდრე სხვა ქართველ პოეტების თხზულებებში.

შესამჩნევია და დიდებული ჭავჭავაძის სიყვარული მამულისადმი, რომელიც უფრო ძლიერად გამოსჩანს იმის «დედა და შვილში» და «დიმიტრიში». იგი ამბობს პირველში:

«ეჰა, მამულო, შენის ერთგულობის ძალსა ღვთიურსა
«რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევს უძლურსა...
«რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
«კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
«ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
«ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა»!

პოეტი იჩენს განსაკუთრებულს ძლიერებასა, როდესაც იგი ჰხატავს წარსულს თავის სამშობლოისას. მწუხარება და ტკივილი გულს უწყლავს...

(ამის შემდეგ არტურ ლეისტს მოჰყავს ორი ლექსი ი. ჭავჭავაძისა ნემეცურად გადათარგმნილები: «მტკვრის პირზედ» და «ელეგია» და შემდეგ განაგრძობს):

ჭავჭავაძე ჩინებული ლირიკოსია და ქართულს ლიტერატურას მრავალი მშვენიერი ლექსები შესძინა. მშვენიერი პოეტური ქმნილებაა იმისი უკანასკნელი პოემა «განდეგილი», რომელიც დაბეჭდილია თბილისურს ქართული ჟურნალის «ივერიის» წრევანდელს თებერვლის ნომერში. თუმცა ამ ლექსის აზრი ახალი არ არის და მოგვაგონებს ლერმონტოვის დემონს, მაგრამ ეს აზრი თავისებურად არის შემუშავებული და იმდენი ხელოვნური და ახალი სურათებია, რომ მეტადრე თავ-მობეზრებულს ევროპიელს ჩინებულს გულის-გადამაყოლებელ საკითხავს მასალას მისცემს. მერე რა მშვენიერი ბუნების სურათებია ყაზბეგის ყინულებში დახატული, როგორი ბრწყინვალე დილა და საღამოა აღწერილი, როგორი მშვენიერებაა ყმაწვილი ქალი, როგორი ძლიერია განდეგილის სიყვარული! ხშირად ჭავჭავაძის თხზულებები პუშკინის ნიჭს მოგვაგონებენ,—მაინც ამ პოეტს დიდებულს რუსის პოეტთან ბევრი აქვს საერთო გრძნობითაც და წარმატების სურვილითაც. იქნება სხვაფრივაც ჰქონდა ზედ-მოქმედება პუშკინს მასზე, რადგან რუსული რომანტიული პოეზია იყო სკოლა როგორც მისთვის, ისე მრავალი სხვა ქართველი პოეტებისათვის. ეს კარგად დაამტკიცა ერთმა თბილისელმა კრიტიკოსმა ვ. მიქელაძემ თავის ლამაზს ბროშიურაში. ეხლა ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა ისპობა და ეროვნული თავისებურობა თვის უფლებას კვალად ჰპოვებს. უნდა ვისურვოთ მხოლოდ, რომ ამ მიმართულებამ დიდხანს გასტანოს, რადგან პოეზიის ნიჭით დასაჩუქრებულ ქართველებისაგან მომავალში ბევრს უნდა მოველოდეთ.

ვითარი კავშირი არა ჰქონდა სასწავლო საგანთან. გამოძიებამ შესწამა ნესტროევს სოციალური პროპაგანდა მოწაფეთა შორის; გარდა ამისა, როგორც ამბობენ, აღმოჩენილ იქმნა, ვითომც ნესტროევს განეძრახოს ისეთი მალული საზოგადოების დაარსება, რომელსაც დანიშნულებად უნდა ჰქონოდა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება. ყოველივე ამის გამო ნესტროევი გიმნაზიიდგან დათხოვნისათანავე დატუსაღებულ იქმნა. ოც და-ექვს ოქტომბერს, ნაშუადღევს, პირველს საათზე, გენერალი ანუჩინი თავისი ადიუტანტითურთ მივიდა სატუსაღოში, რომელშიაც იმყოფებოდა ნესტროევიც. გუბერნატორმა მიჰმართა მას დარიგებით; პირველი მისი სიტყვა იყო: «სირცხვილია»... ნესტროევმა ვერ გაიგონა გუბერნატორის სიტყვები და კიდევ დაეკითხა; მაგრამ პასუხის მიღებამდე ეცა გენერალს და თავში დაჰკრა. ეს გარემოება ისე ჩქარად მოხდა, რომ გენერლის მხლებლებმა ვერ მოასწრეს ნესტროევის შეჩერება. შტიკებით შეიარაღებულნი მცველნი ეცნენ ნესტროევს, მაგრამ დროზე შეჩერებულ იქმნენ გუბერნატორის ბრძანებით. ნესტროევი, რომელიც გაასამართლა სამხედრო სამსჯავრომ დახვრეტილ იქმნა.

— «Русскій Курьеръ»-ში მოყვანილია ერთი გაზეთის კორესპონდენცია, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც გენერალი გურკო აპუხტინითურთ დიდის მეცადინეობით მოჰკიდებიან პოლშის გარუსების საქმეს. კორესპონდენტის სიტყვით, გენერალი გურკო თავისი უკანასკნელი მოგზაურობის დროს პოლშის პროვინციებში დიდის სიამოვნებით იღებდა გლეხ-კაცობის დეპუტაციებს, ვაჭრებსა კი გულცივად და თავდაჭერით მოეპყრობოდა; უცხოტომთა წარმომადგენელთ, განსაკუთრებით ნემეცებს, კიდევ უფრო გულგრილად მოჰქცევია. კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ გენერალმა გურკომ, როცა ქ. ლოძში მწარმოებელთა საზოგადოებამ გამართა გამოფენა გურკოს პატივის საცემლად, ვითომც არავითარი ყურადღება არ მიაქცია გამოფენას. როცა ნემეცთა კოლონიის წარმომადგენელმა ისურვა გენერლის წინაშე სიტყვის წარმოთქმა, მაშინ გურკომ, კორესპონდენტის სიტყვით, გააგებინა აგრძნობინა რომ სიტყვის მოსმენა არა სურს. შემდეგ კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ პოლშური ენა თითქო სრულიად აღკრძალული იყოს სასწავლებლებში არა მარტო სწავლების დროს, არამედ გაკვეთილების შუა მოსვენების დროსაც კი. იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ყოველი შეგირდი, რომელიც სასწავლებელში შედის, ვალდებულია ატყობინებდეს სასწავლებლის მთავრობას ამხანაგებისაგან დადგენილის წესის დარღვევა. გარდა ყოველივე ამისა კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ პოლშაში მოსწავლეთა რიცხვი ერთობ ნაკლებად მატულობს; მშობლებისათვის ერთობ გაჭირვებულია სასწავლებელში ვაჟების და მეტადრე ქალების მიბარება. კორესპონდენტს შეუნიშნავს, ვითომც რუსეთში დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს, პროტექციას თვით იმისთანა დიდ-მნიშვნელობიანს საქმეში, როგორიც არის სასწავლებელთა ინსპექტორების დანიშვნა; პოლშაში ინსპექტორებად იმყოფებიან მხოლოდ რუსები—მცირედ განათლებულნი, რომელნიც მხოლოდ იმასა ცდილობენ, რომ გზა გაუხსნან თავიანთს ნათესავებს.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

27 დეკემბერს.

ომსკი. 25 დეკემბერს ლეიტენანტმა გარბერმა და შიუტცმა გაატარეს ომსკზე კაპიტანი დელონგეს და მისს ათთა თანამოღვაწეთა ცხედარნი. დეპუტაციამ აქაური გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილებისამან მიართვა გარბერს და შიუტცს თანაგრძნობის ადრესი.

ჟენევა. ხმებია, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ამ კვირია მონტრედამ ისევ პარიჟში წავა.

გიუედამ იტყობინებიან—ანამის სასახლემ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თანხმა არის იმ პირობაზე, ისა რომელიც 12/15 აგვისტოს გიუეში დაიდვა. დღეს ანამის მეფე დიდებულად მიიღებს ტრიკუს.

კაირი. ეგვიპტის მმართებლობა უარ-ჰყოფს ბრიტანიის ნოტას, რომელიც ითხოვს—რაც სუდანის დასაპყრობლად ხარჯი მოუვა ექსპედიციას, ოსმალეთმა იკისროსო და ეგვიპტის ჯარებმა უკან დაიწიოსო ვიდრე ნილოსის მეორე ჩანჩქერამდე.

ჰფიქრობენ, რომ შერიფ-ფაშის სამინისტროს გამოსცვლიან და იმის მაგივრად ეიუბის კაბინეტს შეადგენენ.

ის ხმები, ვითომც ხედივს განზრახვა ჰქონდეს მეფობას თავი დაანებოს, ტყუილია.

ნიუ-იორკი. ბელვილში—ილაკოისის შტატში—გადიწვა დედათა მონასტერი; ამ დროს დაიღუპა 12 შეგირდი-ქალი და 5 მონაზონი.

27 დეკემბერი

კაირი. შერიფ ფაშის სამინისტრო დაიშალა, მაგრამ ხედივის თხოვნით განაგებს საქმეებს ახალის კაბინეტის დანიშვნამდე.

ბერლინი. იმპერატორმა ვილჰელმმა ბერლინის ხმოსანთა მილოცვის პასუხად წარმოსთქვა სხვათა შორის იმედი მშვიდობიანობის დაცვისა.

28 დეკემბერს.

პეტერბურგი. ახალ-წელიწადს დიდნი მოხელენი საზამთრო სასახლეში მიულოცავენ დღესასწაულს მათს იმპერატორებით დიდებულებათა.

ამბობენ, გრაფის ბარანოვის პროექტის შესახებ რკინის გზებისა იანვარში წარუდგენენ სახელმწიფო რჩევას.

პარიჟი. გუშინ გაიხსნა პალატების ახალი სესია. სენატში დეკანმა კარნომ გამოაცხადა იმედი, რომ დღეიდამ სენატს შეეძლება საფუძვლიანად შეამოწმოს ბიუჯეტი და ურჩევდა ფინანსთა მინისტრს დაზოგვას; განაცხადა აგრეთვე, რომ პოლიტიკურს ჰორიზონტზე მოიწმინდაო და სთხოვდა სენატორებს თანხმობით იმოქმედონ. დეპუტატთა პალატაში დეპუტატი გიშარიც ურჩევდა თანხმობას, პალატის პრეზიდენტათ ამოირჩიეს ისევ ბრისანი.

ლონდონი. ეგვიპტედამ იუწყებიან, რომ ახალს კაბინეტში თავმჯდომარეობა იკისრა ნუბარ-ფაშამ; ფინანსთა მინისტრად დანიშნულია ინგლისელი ვინცენტი.


# განცხადებანი

გრიგუროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის გასტინიცის ქვეშ, ისყიდება წმ. ნინას მოციქულის სურათი ოლეოგრაფიული 50 კოპეიკათ, რომლისაც ფასი წმ. ნინას საძვლავს ეხმარების.

(10—6)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისსათვის ქართული «კედლის კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—9)

მშვენიერი **ფუჩუ-ფუჩაი** ამ წლის ბოლომდის იყიდება რვა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ შისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად.

(18—5)

Открыта подписка на 1884 годъ

*на политическую и литературную газету*

## „ВОСТОКЪ"

(Органъ православныхъ восточныхъ народовъ, издается съ 1879 г. безъ предварительной цензуры).

За годъ съ достав. и пересыл. 8 р.; за полг. 4 р. 50 к.

Для загранич. подписч. 10 р.; за полг. 5 р.

Подписка принимается въ Москвѣ въ редакціи газеты «Востокъ», у Малаго Каменнаго моста, д. Полякова, въ Одессѣ у И. Ю. Вучина, на Италянськой улицѣ. (5—3)

*ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА КАРССКОЙ ОБЛАСТИ*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

## „КАРСЪ"

**На будущій 1884 годъ.**

Газета „Карсъ" въ 1884 году будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**Условія подписки:** съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

**Отъ редакціи.** Газета „Карсъ" имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе новопріобрѣтенной Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея развитію и благоустройству. Цѣль эта Можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія по своему положенію возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопкасающросамъ, имся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ ихъ рукахъ свѣдѣній и матеріяловъ; поэтому мы просимъ этихъ лицъ не отказать намъ въ своемъ участіи и поспѣшить приведеніемъ въ порядокъ и сообщеніемъ редакціи находящихся у нихъ матеріяловъ; самая разработка этихъ матеріяловъ можетъ быть сдѣлана и въ редакціи, а потому литературные недостатки ихъ ни малѣйшимъ образомъ не должны стѣснять авторовъ ожидаемыхъ сообщеній.

(3—1)


*Довз. ценз. Тифлисъ, 28 Декабря 1883 г.* ქ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.